დანართი №1

განათლების
ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრი

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ევროპისმცოდნეობა, სამაგისტრო

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი

დასკვნის წარდგენის თარიღი

თბილისი

## შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ........ 4

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა ........ 5

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან ........ 6

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა ........ 6

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა ........ 12

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა ........ 17

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა ........ 20

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები ........ 25

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი სსიპ |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 211349192 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ირაკლი ჩხაიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ზურაბ ზურაბაშვილი, სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

## I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად) | ევროპისმცოდნეობა |
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად) | European Studies |
| უმაღლესი განათლების საფეხური | მაგისტრატურა |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2] | ევროპისმცოდნეობის მაგისტრი |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი | 0388 ინტერდისციპლინური – მოიცავს სოციალურ მეცნიერებებს, ჟურნალისტიკას, ინფორმაციის მართვას |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება [3] | |
| სწავლების ენა | ქართული |
| ECTS კრედიტების რაოდენობა | 120 |
| პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი) | აკრედიტებული<br>28.09.2012<br>#545 |
| პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები) | |

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

3 მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

## II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ[4]

პროგრამა შედგენილია ECTS ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემით და მოიცავს 120 კრედიტს. 1 კრედიტი უდრის 25 საათს, რომელშიც იგულისხმება როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელი მუშაობის საათები. კრედიტების განაწილება წარმოდგენილია პროგრამის სასწავლო გეგმაში. პროგრამა გრძელდება 2 წელი (4 სემესტრი) და მოიცავს 120 კრედიტს. მათ შორის სასწავლო კომპონენტი - 90 კრედიტი, კვლევითი - 30. თვითშეფასების ანგარიშში მითითებულია, რომ სასწავლო პროგრამის სტრუქტურა მოდიფიცირდა, ახალი სტანდარტით სასწავლო კომპონენტს ეთმობა 90, ხოლო კვლევით კომპონენტს - 30 კრედიტი, რაც განაპირობებს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან მეტ შესაბამისობას.

პირველ სასწავლო წელს 60 კრედიტი სავალდებულო სასწავლო კურსია. მეორე სასწავლო წელს კი ორი ძირითადი სასწავლო კურსია, მათ შორის სამაგისტრო პრაქტ იკის კურსი (5 კრედიტი), 4 არჩევითი სასწავლო კურსი (20 კრედიტი) და კვლევითი კომპონენტი - 30 კრედიტი. პროგრამით განსაზღვრული სავალდებულო და არჩევითი კურსების შეფარდება სავსებით მისაღებია და შეესაბამება მოთხოვნებს. სამაგისტრო პროგრამა მოდიფიცირებულია ევროპის წამყვანი უნივერსიტეტების ევროპათმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამების სტანდარტების გათვალისწინებით.

პროგრამა შედგენილია სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და გავითარების სტანდარტის შესაბამისად. პროგრამის სტრუქტურა ლოგიკურად არის აგებული და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

- აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

- საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამა ინტერდისციპლინური ხასიათისაა. პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამა მიზნად ისახავს ინოვაციებზე დამყარებული, კრიტიკული აზროვნების, დამოუკიდებელი, კვლევითი და პრაქტიკული უნარების მქონე სპეციალისტის მომზადებას, რომელსაც ექნება ინტერდისციპლინურ ცოდნაზე დამყარებული მაღალი კვალიფიკაცია ევროპიმცოდნეობაში. პროგრამის ფარგლებში სწავლების ძირითად თეორიულ და მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს რეგიონალიზმის თეორია, რომლის ფარგლებში სტუდენტი შეისწავლის ევროპული ინტეგრაციის თეორიულიული მოდელების პრაქტიკაში განხორციელების შესაძლებლობებს. მოდიფიკაციის შემდეგ, პროგრამის მიერ დასახული მიზნები შესაბამისობაშია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-7 დონესთან და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამის პუნქტთან, პროგრამა თანხვედრაშია ინტერდისციპლინური სწავლების მოთხოვნებთან.

- რეკომენდაციები

  - სასწავლო კურსების დიდ ნაწილში სავალდებულო ლიტერატურის სექციაში მითითებულია სამაგისტრო პროგრამის მიზნების, სიღრმისა და შედეგების მიღწევისთვის შეუსაბამოდ მცირე

მასალა, ზოგ შემთხვევაში, მხოლოდ ორი ერთეული. ზოგიერთგან მითითებულია, რომ არსებობს „სალექციო მასალა“, თუმცა მნიშვნელოვანი ჩანდეს, თუ რა მასალებს მოიცავს ეს რიდერი. ჩვენი რეკომენდაციაა სავალდებულო ლიტერატურის გამრავალფეროვნება და უფრო მკაფიოდ მითითება, რაც უზრუნველჰყოფს პროგრამის მიზნებისა და შედეგების მიღწევას.

- რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

  - მიუხედავად დაბალანსებული თანაფარდობისა სავალდებულო და არჩევით კურსებს შორის, პირველი სასწავლო წელი სრულად არის დატვირთული სავალდებულო სასწავლო კურსებით, სტუდენტს სავალდებულო არჩევითი საგნებიდან სასურველი კურსების არჩევის შესაძლებლობა ეძლევა მეორე სასწავლო წლიდან. რჩევის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ უმჯობესი იქნებოდა, არჩევითი სასწავლო კურსები მეტად გაშლილიყო და დაეფარა სასწავლო პერიოდი სრულად (ან დიდწილად მაინც). ვფიქრობთ, რომ მსგავსი მიდგომა ხელს შეუწყობდა პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების უფრო სრულფასოვნად მიღწევას.

  - პროგრამის სილაბუსების სალექციო და სასემინარო თემების კვირეულ ჩაშლაში არ არის მითითებული სავალდებულოდ წასაკითხი კონკრეტული მასალა გვერდების აღნიშვნით, რაც, ვფიქრობთ, რომ მნიშვნელოვანია სასწავლო მიზნებისა და შედეგების მისაღწევად.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[5]

- ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე

არგუმენტირებული პოზიციის გაცნობის შემდეგ, ექსპერტთა ჯგუფი ნაწილობრივ იზიარებს წარმოდგენილ არგუმენტებს. კერძოდ, რადგან საკითხი ეხება სამაგისტრო პროგრამას, რომლის მიზანია სტუდენტისთვის ღრმა და სისტემური ცოდნის მიცემა, საჭიროდ ვთვლით, რომ სასწავლო კურსების სილაბუსებში სავალდებულო ლიტერატურის გამრავალფეროვნებისა და მკაფიოდ მითითების რეკომენდაცია ძალაში დარჩეს.

რაც შეეხება რეკომენდაციას, რომელიც ეხება საკითხავ მასალებში გვერდების აღნიშვნას, შესაძლებლად მიგვაჩნია, რომ ეს რეკომენდაცია განისაზღვროს რჩევის სახით.

- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

[4] პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

[5] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან

მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

## III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

#### 1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

---

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამა ინტერდისციპლინური ხასიათისაა. პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამა მიზნად ისახავს ინოვაციებზე დამყარებული, კრიტიკული აზროვნების, დამოუკიდებელი, კვლევითი და პრაქტიკული უნარების მქონე სპეციალისტის მომზადებას, რომელსაც ექნება ინტერდისციპლინურ ცოდნაზე დამყარებული მაღალი კვალიფიკაცია ევროპიმცოდნეობაში. პროგრამის ფარგლებში სწავლების ძირითად თეორიულ და მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს რეგიონალიზმის თეორია, რომლის ფარგლებში სტუდენტი შეისწავლის ევროპული ინტეგრაციის თეორიულიული მოდელების პრაქტიკაში განხორციელების შესაძლებლობებს. მოდიფიკაციის შემდეგ, პროგრამის მიერ დასახული მიზნები შესაბამისობაშია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-7 დონესთან და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბაბამის პუნქტთან, პროგრამა თანხვედრაშია ინტერდისციპლინური სწავლების მოთხოვნებთან.

---

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამა
- თვითშეფასების ანგარიში
- პროგამის მონაწილე პერსონალის აკადემიური კვალიფიკაცია და პროფესიული ავტობიოგრაფიები

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1.1 პროგრამის მიზნები | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის სწავლის შედეგები მკაფიოდა გადმოცემული. შედეგები თანხვედრაშია პროგრამის მიზნებთან და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის დადგენილ მოთხოვნებთან. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგები კურსდამთავრებულს საშუალებას მისცემს, განახორციელოს ორიგინალური კვლევა აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით ევროპისმცოდნეობის მიმართულებით; კონტექტების გააზრებით, პირველწყაროების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე, დამოუკიდებლად შექმნას ინოვაციური სამეცნიერო პროდუქტი ევროპისმცოდნეობაში; კურსდამთავრებულს შეუძლია გამოავლინოს მეცნიერული ხედვა; მოახდინოს ცოდნის ტრანსფერი სააუდიტორიო მუშაობის პროცესში; შეუძლია კვლევის შედეგების პრეზენტაცია როგორც აკადემიური, ისე ფართო საზოგადოებისთვის ადგილობრივ და საერთაშორისო დონეებზე. სწავლის შედეგები ფორმულირებულია ახლანდელ დროში აქტიური ზმნების გამოყენებით, შესაბამისობაშია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის შედეგების კლასიფიკატორით განსაზღვრულ სტანდართებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამა
- თვითშეფასების ანგარიში

რეკომენდაციები:

- არ გვაქვს

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ გვაქვს

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლის შედეგების შეფასების სხვადასხვა მეთოდები და შესაბამისი აქტივობები, რომლებიც ასახულია სასწავლო კურსის სილაბუსებში, ასევე სამაგისტრო პროგრამის აღწერილობაში. უსდ-ში ვიზიტი არ განხორციელებულა, შესაბამისად, ვერ ვიტყვით, რამდენად არის უზრუნველყოფილი სწავლის შედეგების მიღწევა შესაბამისი სასწავლო ინფრასტრუქტურით და სხვა საშუალებებით/მექანიზმებით, რომელთა შესახებ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ადგილზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამა
- თვითშეფასების ანგარიში
- სასწავლო კურსების სილაბუსები

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## 1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამა შედგენილია ECTS ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემით და მოიცავს 120 კრედიტს. 1 კრედიტი უდრის 25 საათს, რომელშიც იგულისხმება როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელი მუშაობის საათები. კრედიტების განაწილება წარმოდგენილია პროგრამის სასწავლო გეგმაში. პროგრამა გრძელდება 2 წელი (4 სემესტრი) და მოიცავს 120 კრედიტს. მათ შორის სასწავლო კომპონენტი - 90 კრედიტი, კვლევითი - 30. თვითშეფასების ანგარიშში მითითებულია, რომ სასწავლო პროგრამის სტრუქტურა მოდიფიცირდა, ახალი სტანდარტით სასწავლო კომპონენტს ეთმობა 90, ხოლო კვლევით კომპონენტს - 30 კრედიტი, რაც განაპირობებს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან მეტ შესაბამისობას.

პირველ სასწავლო წელს 60 კრედიტი სავალდებულო სასწავლო კურსია. მეორე სასწავლო წელს კი ორი ძირითადი სასწავლო კურსია, მათ შორის სამაგისტრო პრაქტ იკის კურსი (5 კრედიტი), 4 არჩევითი სასწავლო კურსი (20 კრედიტი) და კვლევითი კომპონენტი - 30 კრედიტი. პროგრამით განსაზღვრული სავალდებულო და არჩევითი კურსების შეფარდება სავსებით მისაღებია და შეესაბამება მოთხოვნებს. სამაგისტრო პროგრამა მოდიფიცირებულია ევროპის წამყვანი უნივერსიტეტების ევროპათმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამების სტანდარტების გათვალისწინებით.

პროგრამა შედგენილია სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და გავითარების სტანდარტის შესაბამისად. პროგრამის სტრუქტურა ლოგიკურად არის აგებული და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამა
- თვითსეფასების ანგარიში

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- მიუხედავად დაბალანსებული თანაფარდობისა სავალდებულო და არჩევით კურსებს შორის, პირველი სასწავლო წელი სრულად არის დატვირთული სავალდებულო სასწავლო კურსებით, სტუდენტს სავალდებულო არჩევითი საგნებიდან სასურველი კურსების არჩევის შესაძლებლობა ეძლევა მეორე სასწავლო წლიდან. რჩევის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ უმჯობესი იქნებოდა, არჩევითი სასწავლო კურსები მეტად გაშლილიყო და დაეფარა სასწავლო პერიოდი სრულად (ან დიდწილად მაინც). ვფიქრობთ, რომ მსგავსი მიდგომა ხელს შეუწყობდა პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების უფრო სრულფასოვნად მიღწევას.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## 1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- ➢ სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ➢ ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამაში დანერგილი სასწავლო კურსები მრავალფეროვანია და შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან. რეგიონალიზმის თეორიისა და მეთოდოლოგიის პრინციპებზე დაყდნობით, პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტებს გადასცეს ღრმა და სისტემური ცოდნა ევროპული ინტეგრაციის, კულტურის, ევროკავშირის პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების და ევროპული პოლიტიკური

ინსტიტუტების ფუნქციონირების შესახებ. სასწავლო კურიკულუმი ამ მიზნის გარშემოა აგებული და პასუხობს პროგრამის მიზნებს. უნდა ითქვას, რომ შემოთავაზებული სასწავლო კურსები ძირითადად ფარავს იმ კომპეტენციებს, რომელიც აუცილებელია ევროპისმცოდნეობის მაგისტრის კვალიფიკაციის მისაღებად. სამაგისტრო პროგრამაში დანერგილი კურსები ინტერდისციპლინური ხასიათისაა და ემსახურება სტუდენტებისთვის მრავალმხრივი ცოდნის გადაცემის მიზანს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სასწავლო პროგრამის სილაბუსები
- ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამა
- თვითშეფასების ანგარიში

რეკომენდაციები:

- სასწავლო კურსების დიდ ნაწილში სავალდებულო ლიტერატურის სექციაში მითითებულია სამაგისტრო პროგრამის მიზნების, სიღრმისა და შედეგების მიღწევისთვის შეუსაბამოდ მცირე მასალა, ზოგ შემთხვევაში, მხოლოდ ორი ერთეული. ზოგიერთგან მითითებულია, რომ არსებობს „სალექციო მასალა“, თუმცა მნიშვნელოვანი ჩანდეს, თუ რა მასალებს მოიცავს ეს რიდერი. ჩვენი რეკომენდაციაა სავალდებულო ლიტერატურის გამრავალფეროვნება და უფრო მკაფიოდ მითითება, რაც უზრუნველჰყოფს პროგრამის მიზნებისა და შედეგების მიღწევას.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- პროგრამის სილაბუსების სალექციო და სასემინარო თემების კვირეულ ჩაშლაში არ არის მითითებული სავალდებულოდ წასაკითხი კონკრეტული მასალა გვერდების აღნიშვნით, რაც, ვფიქრობთ, რომ მნიშვნელოვანია სასწავლო მიზნებისა და შედეგების მისაღწევად.

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1.5 სასწავლო კურსი/საგანი | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| | | |
|---|---|---|
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☐ |
| | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☐ |
| | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☐ |
| | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან | ☐ |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

### 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უსდ-ს განმარტებით საგანმანათლებლო პროგრამის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფოეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით შეიცვალა საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, რაც დაკავსირებულია პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან, მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და პროგრამაში შემდეგი სახითაა წარმოდგენილი, რომ მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ჩაირიცხება სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (საერთო სამაგისტრო გამოცდა და სტუ-ს მიერ განსაზღვრული გამოცდა/გამოცდები. აპლიკანტმა უნდა წარმოადგინოს უცხოური ენის (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული) ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი, არანაკლებ B 2 დონის ან B 2 დონის შესაბამისი სასწავლო კურსის გავლის დამადასტურებელი დოკუმენტი. მსგავსი დოკუმენტის არარსებობის აპლიკანტმა უნდა ჩააბაროს გამოცდა უსდ-ს ტესტირების ცენტრში. აპლიკანტს, რომელსაც დამთავრებული აქვს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა უცხოურ ენაზე, სერტიფიკატის წარმოდგენა ან გამოცდაზე გასვლა არ მოეთხოვება. პროგრამაზე ჩარიცხვა სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით. უსდ-ს განმარტებით[6] საგამოცდო საკითხები/ტესტები განთავსდება ინსტიტუციის ვებგვერდზე გამოცდების დაწყებამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე.

[6] თვითშეფასების ანგარიშში მითითებულია ბმული, სადაც განთავსდება საგამოცდო საკითხები, თუმცა ვერ მოხერხდა აღნიშნული ბმულის გახსნა, რადგან დოკუმენტი სკანირებულია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფოროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობაში შესახებ თვითშეფასების ანგარიში

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## 2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სამაგისტრო პროგრამა: "ევროპისმცოდნეობა" გარდა დარგისთვის საჭირო თეორიული ცოდნისა, ორიენტირებულია კურსდამთავრებულისათვის კვლევითი უნარების გამომუშავებაზე. ამ მიზნით პროგრამა, სავალდებულო კურსების ბლოკში ითვალისწინებს „აკადემიური წერისა“ და „ინტერდისციპლინური კვლევის მეთოდების“ კურსების გავლას. აკადემიური წერის კურსი კი ემსახურება სტუდენტების უნარების განვითარებას, რომელიც დაეხმრება მას სამაგისტრო ნაშრომის წერის პროცესში აკადემიური კეთილისინდისიერების პრიცნიპების დაცვით. „ინტერდისციპლინური კვლევის მეთოდების“ სასწავლო კურსის მიზანია, სტუდენტებს მისცეს ღრმა და სისტემური ცოდნა ინტერდისციპლინური კვლევის მეთოდების შესახებ. გამოუმუშაოს კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლების, დიზაინის, სტრუქტურის, მონაცემთა შეგროვების, მომზადებისა და ანალიზის უნარი. განუვითაროს მულტიდისციპლინურ გარემოში რთული პრობლემების გადაწყვეტის გზების ძიების, მიღებული ცოდნის შეჯერება-განზოგადების, ახალი ორიგინალური იდეების განვითარების, საკუთარი სწავლის დამოუკიდებლად წარმართვის უნარი. ამ კურსების

გარდა, პროგრამის სხვა კურსებიც ითვალისწინებს კვლევითი ხასიათის პროექტებს, რეფერატებს, ესეებს რომლებშიც სტუდენტები კონცენტრირებული არიან საკითხის ანალიზზე, შეფასებაზე და კომპლექსური ინფორმაციის სინთეზზე. პროგრამის ფარგლებში პრაქტიკული უნარების განვითარების მიზნით პროგრამაში შემავალ კურსებში გამოყენებულია სხვადასხვა სიმულაციები და ქეისები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

• ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;

• სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;

• სასწავლო კურსების სილაბუსები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი /შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## 2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

წინამდებარე სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლებისთვის გამოიყენება ისეთი მეთოდები და აქტივობები, როგორიცაა: ლექცია, სემინარი, ელექტრონული რესურსით სწავლება, ელექტრონული სწავლება, ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა და სხვ. თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსი ითვალისწინებს სასწავლო კურსის მიზნის

მისაღწევ გზებს (მეთოდებს), რაც სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს ეფუძნება. სწავლების მეთოდების შერჩევისას ხშირ შემთხვევაში გათვალისწინებულია სასწავლო კურსის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი, რაც მიიღწევა შესაბამისი აქტივობებით: დისკუსია/დებატები, ინდივიდუალური ჯგუფური მუშაობა,სიმულაციები, შემთხვევის შესწავლა, ანალიზი და სინთეზი და სხვა. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი იყენებს ზემოთ ჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე აქტივობას.

საგანმანათლებლო პროგრამის, სასწავლო კურსების სილაბუსების შინაარსის, სწავლება-სწავლის მეთოდების, თემატიკის აქტივობებისა და მეთოდების შედარების გზით იკვეთება, რომ პერსონალის მიერ გამოყენებულია ვალიდური, პირველადი ცოდნის და უნარების უზრუნველმყოფელი მეთოდები.

დაცულია სასწავლო კურსის/კურსების თავისებურებები/სპეციფიკა (თეორიული და პრაქტიკული ხასიათი).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის სილაბუსები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
